სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

19 მარტი 2024

N 35

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი საერთაშორისო კინოფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტის, „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2022 წლის 2 მარტის №32 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 19 მარტს, გამოცხადდეს კონკურსი „2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი საერთაშორისო კინოფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი